



რა დაგვემართა?!

წერილი წაკითხულია საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე

მუსრან მაჭავარიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკვე 80 წლისა ვარ, და აქედან 50 წელი საკოლმეურნეო შრომას შევადიე. ყველას გვაღელვებს, ყველას გვახარებს ჩვენი კომუნისტური პარტიის და, მასთან ერთად, ჩვენი ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი. ვცდილობ, რამეთი შევანო ჩემი წილი ძალა ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს. მას შემდეგ, რაც მეთერთმეტე ხუთწლეულის პროგრამის პროექტი გამოვიდა და ვემზადებით საყრილობოდ, იმის ფიქრში ვარ, ჩემებურად, გლეხის ქალის გონებით გამოვხატო ჩემი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ მეტი სიუხვე გვექონდეს სოფელში და მანუხებს, რა დაგვემართა, რომ იგი არა გვაქვს, გვაკლია.

ჩემს მიერ განვლილ ცხოვრებას თვალი რომ გადავავლო, ძველი და ახალი შევადარე, იცით, რა დასკვნა გამოვიტანე? სოფელი გაკადნიერდა, ზოგ-ზოგებმა კი სულაც დაკარგეს სინდისი, სხვანაირად ვერც იტყვი, მიმწოდებლის ნაცვლად ისინი მომხმარებლები გახდნენ. ზოგიერთი გლეხი საშოვარს გამოედევნა, იოლი გზით, ნაკლები შრომით — დაფნის, კაიფერას მსხლის, ლუფის და სხვა ნაკლებმოსავლელი კულტურების ეზოში გაშენებით, აწწლითაც (კილოგრამი 40 კაპიკი ღირს) ბევრი ფული კი იშოვა, მაგრამ სახლში სურსათი არა აქვს. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეზოდან გამოდევნა ბოსტანი, სიმინდი, პირუტყვი, ფრინველი; ბოლოკისა და ოხრახუშის საყიდლად ბაზარში გარბის. თუ ადრე ხულა (სასიმინდე), ბალუ, ოკარიე (საქათმე) სავსე იყო: ხულა — სიმინდის მარცვლით და ჩხვერით (ღომით), ბალუ — საზამთროდ გადანახული სხვადასხვა ხილით, ჩურჩხელებითა და ჩამიჩით, გოგრიითა და ხაპერათი, ოკარიე — ქათმითა და ინდაურით, მარაკა — თხით, ქალაქიდან სტუმრად ჩამოსულ შვილიშვილს თუ ძმისშვილს სოფელი ყველაფრით გულუხვად უმასპინძლებოდა — ლორთქო ყველით ჭვინტარს უკეთებდა, კამეჩის რძის მანონს აჭმევდა და თბილ რძეს მიართმევდა უზომოდ... ახლა? ახლა სადაა ყველაფერი ეს? არ ვარგა ასე! და ამან დააფიქრა 80 წლისთავზე ჩემი ცხოვრებისა. განა ახლა კი არ შეიძლება, ყველაფერი ეს ყველა ოჯახში იყოს? მაგრამ სურვილია საჭირო, გარჯაა საჭირო. გაურჯელად ვინ რას მოგვცემს?!

მიწას რომ ვაძლევთ სამოსახლოდ სოფლად კაცს, ვურჩით ისიც, რას მოჰკიდოს ხელი, როგორ დაამუშაოს ეს მიწა. ასე ივარგებს, მე მგონია, და, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა: არც ერთი სოფელი არ დარჩეს უძროხოდ: უქათმოდ, უორინჯოდ (უპირუტყვოდ)! უბოსტნოდ არ უნდა იყოს არც მოსამსახურე და არც კოლმეურნი! ამაზე ღირს დაფიქრება! ამის თაობაზე ვესაუბრე ჩვენი კოლმეურნეობის თავკაცებს, მოეწონათ ჩემი აზრი და გადაწყვიტეთ, მეთერთმეტე ხუთწლეულის ორი წლის შემდეგ არ გვყავდეს არც ერთი გლეხი და მოსამსახურე უძროხოდ, უქათმოდ, უბოსტნოდ, უჭყინტისმიწოდ! ვინც მიწის ფასი არ იცის, მას ჩამოვართვათ მიწა, არ მიეცეთ მიწის მოცდენის უფლება!

კიდევ ერთი საკითხი მანუხებს მე: ძალიან დავიჩემეთ ეს გადაჭარბებული ქელები და ქორწილები, დღეობები, ჯარში გაცილების სუფრა, მობრუნებისას — სუფრა. ზოგიერთებს, უფრო სწორად ახალმოსულ თაობას, ეს ტრადიცია ჰგონია. მაგრამ არაა სწორი ეს! ეს ტრადიციის გაყალბებაა. ასეთი ტრადიცია ჩვენს კუთხეში არ გვექონია ადრე. ქორწილიც ნორმალური ვიცოდით და გასვენებაც, ჯარში წასვლისას გზის დალოცვა და დაბადების დღის მილოცვაც. მიღეთის ხალხს არ ვუყრიდით თავს და არც ხორავს ვახვავებდით ერთი დღის გასანიაველად და მეორე დღეს გადასაყრელად. არ ვაოხრებდით ჭირითა და ოფლით მოწეულ სურსათ-სანოვავებს. ახლა? ერთი საშუალოდ მიჩნეული ქორწილი (საშუალოდ კი 400 კაცზე ნაკლები არააო ამ ბოლო ხანებში). ნაქეიფარი ხალხისაგან მორჩენილი სურსათი: ალბათ, 300-400 კაცს კიდევ ეყოფოდა. მაგრამ ვინ უწევს ამას ანგარიშს? მერე რამდენი ვიცით წელიწადში ასეთი ქეიფები! თუ იანგარიშა ვინმემ, რამდენი სურსათი ფუჭდება, რამდენი ღვინო იღვრება, რამდენი მუშახელი ცდება უმიზნოდ? რაოდენ დიდი ზარალი ადგება ამით ქვეყანას, სახელმწიფოს!

აი, კიდევ რას გეტყვით: ასეთ ქორწილებსა და დღეობებს ზოგჯერ საყოყნოდ და სარგებლის გულისთვის იხდიან. ახლანდელ ქორწილებსა და ქელებში, ჯარში გაცილების სუფრაზე და დღეობებში ფულის გადაყრა დაპატიჟებულს, ეტყობა, არაფრად მიაჩნია, შინაარსი კი დაახლოებისა, დამოყვრებისა განზე რჩება და არავინ ახსოვს.

ასე არ ვიცოდით წინათ. ქორწილში მარტო ახლო ნათესავები, უახლოესი მეზობლები, მეგობრები მოდიოდნენ. არ იცოდნენ გადაყოლილი სმა; ცეკვა-თამაში და ჩონგური იყო მეტი.

გავარჩიოთ ეს, რა არის კარგი და რა არის ცუდი. სიყალბეა და უსინდისობა, მაპატიეთ ამ გამოთქმისათვის, ის რაც ახლა მოდადაა ქცეული — ზღაპრული სუფრის მოწყობა. ამიტომ ჩემი წინადადებაა, მკაცრად შევებრძოლოთ ამ გაყალბებულ თავყრილობებს, არავის ვაპატიოთ სოფლის პატიოსანი მშრომელის ოფლით მოწეული ჭირნახულისადმი უღვთოდ მოქცევა! ამ საკითხს ყურადღებით უნდა მოვეპყრათ, ნორმები შევიმუშაოთ, თუ საჭირო იქნება და რჩევამ არ გაჭრა, სხვა ღონე ვიხმართ, კანონად ვაქციოთ, თორემ მთლად გავფუჭდებით და დაკარგავთ ჩვენს სახეს!

ამ საკითხების მოგვარება, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს საერთო საქმის მოგვარებას, იმ პროგრამის განხორციელებასაც, ახლა „სასურსათოს“ რომ ეძახიან.

თამარ ყუფუნია,

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობის პრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი.


მეც
ოჯახში

ტანახოვანმა,
დღეს მინაში მნოლმა გულადმა,
თქვა ოპიზარმა,
ხოტივარმა, თუ ხახულარმა:
დაჯდები ქოხში,
სასახლეში, თუ ხის გრილოში:
ღვინო შენ უნდა
დალიო და არა ღვინომ — შენ!

ძენი, ძისძენი, მეფე გუბაზის, —
მერე რამდენი, მერე რამდენი! —
დახოცილები ქართულ სუფრაზე, —
დილოში წვანან სამარაბდენი!..

შნიშნი, ბადიშნი ლაზი ფარტაზის, —
გაღებულები, არა ფხიზელნი,
ხშირ შემთხვევაში მსხდარნი პანტაზე, —
ვაკეში წვანან საასპინძენი!..

კმარა!
გვიანდა იქნება მერე! —
გვიახლოვდება, ვხედავ, წერტილი...
და საქართველოს უკვდავი შტერი —
სიცილით კვდება ჯალალედინი!..





როცა პრობლემა მარტივად წყდება!..

გაგაასება

— ყური მამიგდე, კაცო გიგავ:
კაი სახლი გვაქ და კაი კარი,
ეზო ხო ადამ და ევაი სამოთხეი გვიგავ!
პური და ღვინო არ გვაკლია და მაინც რაღაცა გულ მაკლია:
ცოდო არა ხარ, კაცო, ძროხი ხორცისა და ქათმისათვის
ქალაქ რო დარბიხარ წარამარა?!
თოხზე მუშაობ, მიწაი ჯან ალევ, ის არა კმარა?!
ამ წინაზე ფერმი ქათამი რო მაიტანე,
შენ გგონია, გემო ჩავატანე?!
ფული დეგებარჯა, თავი გაიწვალე,
დრო დეგეკარგა და მე მაინც დავრჩი გულნაკლული!...
რათაო?! ხო იცი, არ მიყვარს წინადლი დაკლული!
...ჰო, იმაი ვამბობდი: ქალაქ რო დახვალ წარამარა,
მე რო არ მექნება, შე რო არ გექნება, მეზობელ არ ექნება,
უბან არ ექნება, ქალაქ საიდანღა ექნება?!
ახლა მე რა მინდა, გაიგე, გიგავ? —
ქათამი არაფერი, ბლომა წინილები დაგვიჩეკა ჭრელმა ქოჩორამ!
კიტრი ფული ხო ბევრი გვაქ?! —
მაიტა, წავიდეთ ბოდბიხე და ვიყიდეთ ერთი ბოჩოლა!
ორ-სამ წელიწად ძროხი პატრონები გავხდებით!
ჩვენი ბიჭი ქორწილ ბარაქით დავხვდებით!
მერე უჭულბუჭულები გაგვიმრავლდებიან,
იმათაც დავალალებთ ნალებით!
ჩვენ რო გვექნება, გიგავ, — მეზობელ ექნება, უბან ექნება.
მაშინ ქალაქსაც ექნება, მაშინ ქვეყანასაც ექნება!
— აბა, რას ამბობ, მარგალიტავ?!
შენ იგრე ლაპარაკობ,
თითქო მარტო შენ გიყვარს პირუტყვი და მე კი არა,
მე რო არა მყავ, შე რო არა გყავ, მეზობელ რო არა ჰყავ,
დაჰფიქრებულხარ, ეგრე რატო არი?!
ჭრელი ძროხა რო გინდა, აჯამო,
რა უნდა აჯამო, გააქ საძოვარი?!
— ჰოდა, ახლა რა ექნათ, იცი? მოდი და, დავწეროთ თხოვნა:
ჩვენ შეგვიძლია საქონლი მოვლა,
მხოლოდ ეს არი ჩვენი სათხოვარი, რო მოგვცეთ საძოვარი!

ლალი მარტაშვილი

რვა მარტი

ლაქსიკონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რვა მარტი — დღე, როცა მამაკაცები ცდილობენ, ქალთა მიმართ მთელი წლის უგულისყურობა; უყურადღებობა და გულგრილობა ერთბაშად გამოისყიდონ.

ცოლი — სუსტი, მშვენიერი სქესის არსება, რომელიც, სამსახურთან შეთავსებით, ერთდროულად ასრულებს მზარეულის, ოფიციატის, დამლაგებლის, მრეცხავის, მკერავის, ბავშვების მომვლელისა და აღმზრდელ-მასწავლებლის მოვალეობას.

მანდილოსანი — პირობითი სახელწოდება. დღეს, ძირითადად, ჯინსისშარვლიანი ქალები იგულისხმებიან.

დაქორწინება — ფაქტი, რომლის შედეგადაც ქალები ზოგჯერ ახერხებენ ბინადარ ცხოვრებაზე გადაიყვანონ მამაკაცები.

ქათინაური — რასაც მამაკაცები ყველა ქალის მიმართ იმეტებენ, გარდა საკუთარი ცოლისა.

კოსმეტიკის მსხვერპლი — ქალი, რომლის სახეზეც ვერ გაარკვევ, სად მთავრდება ბუნებრივი და სად იწყება ხელოვნური.

„გაზ-24“ — ზოგი ქალის აღტაცების, გატაცებისა და მოტაცების საგანი.

ფანტაზიორი — ქალი, რომელიც უზრუნველი ცხოვრების იმედით ქორწინდება.

სარვამარტო სუფრა — ერთადერთი ადგილი, სადაც ქალებს სრული მონოპოლია აქვთ (წარმოიდგინეთ, სმაშიც კი!).

პატივმოყვარე ქალი — პოტენციალური შინაბერა.

მინიკაბა — მამაკაცთა ფიზიკური მიზიდვისა და სულიერი განზიდვის საშუალება.

ამორძალი — ქალი, რომელმაც ხელი აიღო ოჯახურ საქმიანობაზე (თანამედროვე გაგებით).

საინტერესო ტელეგადაცემა — ოჯახური დავიდარაბის განმუხტვის საშუალება.

სისუსტე — ქალის ძლიერების წყარო მამაკაცისადმი დამოკიდებულებაში.


სარვამარტო საჩუქარი — რძალ-დედამთილთა, სიძე-სიდედრთა და ცოლ-ქმართა შეხმატკბილების საშუალება (ან — პირიქით).

მორჩილი ქმარი — ქნარი, რომელზეც უკრავს პატივმოყვარე ცოლი.

შინაბერა — უკეთესის ძებნაში რომ უარესსაც ჰპარგავს.

ალმანაზორ თაყაძე

ნაზ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

7-81

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხომალდები ინდოეთის ოკეანესა და სპარსეთის ყურეში იმიტომ არიან, ამ რეგიონში მშვიდობა რომ სუფევდესო! — ქადაგებენ იმპერიალისტური პროპაგანდისტული წრეები.
გაზეთებიდან



ნ. ზ. ლომიძისა

ქია სავის „მშვიდობის რტო“

81-176



სატიკომი და იუმორის
შურობი „ნიანგი“
№ 5 (1591) მარტი
გამოცემის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლჭვაძე

სარედაქციო
კოლეგია:

გაბუა ამირჯიანი
ნოზა ბარბაქაძე
გორის გურგულია
ნოდარ დუმბაძე
რეზა თვარაძე
ჯემალ ლოლაშვილი
ნოდარ მაღალაშვილი
(მხატვარი-რედაქტორი)
გელან ჩინარაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ალექსანდრე სამხონია
გიგლა ფირცხალაშვილი
ჯანსუღ ჩარკვიანი
თამაზ ფიჭინაძე
ვახუშტი პანკიშვილი
(მთავარი რედ. მოადგილე)
ნაზი ჯუჯიშვილი

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გამოცემის ასაწარმოად
5. 2. 81 წ.
ხელმოწერილია დასაბამად
11. 3. 81 წ.
ქალაქის ზომა 70x108 1/2
ფორმატი ნაბეჭდი
ფურცელი 2
საბეჭდო-სამაგრი-სამაგრი-
თაბახი 1,7
საქართველოს კ. ც. ც. ც.
გამომცემლობა,
ლენინის ქ. № 14,
შეკეთა № 410. უფ. 00641
ტირაჟი 150.950.
ქურთალი გამოცემის
თვეში ორჯერ.
რედაქციაში შემოსული
მასალები ავტორებს,
არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი:
380008, თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი, № 42.
ბელეფონი: მთავარი
რედაქტორის — 93-62-04, მთ.
რედ. მოადგილის — 93-19-42,
პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38,
განყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშავე-
ბის — 99-02-38, მდივანი-მეგან-
ქანის — 99-76-69.

Сатирико-юмористический
журнал «НИАНГИ»
(На грузинском языке)
Тбилиси, пр. Руставели № 42.
Издательство ЦК КП Грузии
Типография Издательства ЦК
КП Грузии, Тбилиси, улица
Ленина № 14.
Факс 20 333031
ინდექსი 76137

